

**ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
აღმასრულებელი საბჭოს
სხდომა**

25 მაისი 2009 წელი

ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მისამართი:
ქ. თბილისი, ბარნოვის ქ. №75

სხდომის დაწყების დრო: 16:00სთ.

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები:
გონა სვანიძე (თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი), დავით
ასათიანი, როინ მიგრიაული, დავით ლანჩავა, ზვიად კორძაძე.

სხდომის თავმჯდომარე: გონა სვანიძე

დღის წესრიგი:

1. საკვალიფიკაციო კომისიის დებულებაში ცვლილებების შეტანის
შესახებ;

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით

სხდომამ მოისმინა:

აღმასრულებელი საბჭოს წევრის როინ მიგრიაულის ინიციატივა საკვალიფიკაციო კომისიის დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ, კერძოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე თამარ შუშიაშვილის 2008 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ეკა მშვიდლობაძის სარჩელი და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას დაევალა გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში გამოიკვლიოს და

შეაფასოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებები და გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი. აღნიშნული ვადა იწურება 2009წ. 30 მაისს.

აღნიშნულთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიმაჩნია მითითებულ ვადაში მოწვეული იქნას საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საკვალიფიკაციო კომისია, რომელმაც ხელახლა უნდა იმსჯელოს ეკა მშვიდლობაძის საჩივართან დაკავშირებით.

იმისათვის, რომ საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილება იყოს ლეგიტიმური, რეკომენდაციას ვუწევ ადმასრულებელ საბჭოს, შეიტანოს შემდეგი დამატება “ადვოკატთა ტესტირების ჩატარების წესში”. კერძოდ, აღნიშნული წესის მე-19 მუხლის მე-5 პუნქტს დაემატოს შემდეგი წინადადება: “და გადაწყვეტილებებს იღებს სიითი შემადგენლობის უბრალო უმრავლესობით”.

ადმასრულებელმა საბჭომ გაიზიარა სხდომაზე წარმოდგენილი რეკომენდაცია და

გადაწყვიტა:

შეტანილ იქნეს “ადვოკატთა ტესტირების ჩატარების წესში” დამატება, კერძოდ, წესის მე-19 მუხლის მე-5 პუნქტს დაემატოს შემდეგი წინადადება: “და გადაწყვეტილებებს იღებს სიითი შემადგენლობის უბრალო უმრავლესობით”.

გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად

გადაწყვეტილების მიღებისას ადმასრულებელი საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ და ხელს აწერენ:

გოჩა სვანიძე

დავით ლანჩავა

დავით ასათიანი

ზვიად კორძაძე

როინ მიგრიაული

ზაზა ხატიაშვილი